ცნობილი ამერიკელი რეჟისორი დევიდ ლინჩი საქართველოში მისი სახელობის კინოსკოლის ან კინოაკადემიის დაფუძნების ინიციატივით გამოვიდა

2017-11-19 19:30:01

ცნობილი ამერიკელი რეჟისორი დევიდ ლინჩი საქართველოში მისი სახელობის კინოსკოლის ან კინოაკადემიის უნივერსიტეტის დაფუძნების ინიციატივით ჩამოვიდა, რომელიც რეგიონული მასშტაბის იქნება.

ამ თემაზე დევიდ ლინჩს და დევიდ ლინჩის ფონდის (DLF) დელეგაციის წარმომადგენლებს საქართველოს პარლამენტში კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში შეხვდნენ.

"ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ინიციტივაა მისი გამოცდილების, ცოდნის გაზიარების თვალსაზრისით. დარწმუნებული ვარ, ასეთი სკოლის ან უნივერსიტეტის მიმართ ინტერესი ძალიან მაღალი იქნება. მე სახელმწიფო თეატრის და კინოს უნივერსიტეტის შესახებ მოვყევი, რომელიც კულტურის სამინისტროს სისტემაში შედის. მას შევთავაზე ასევე განიხილოს

შესაძლო თანამშრომლობის მოდელი უნივერსისტეტთან ან სულაც უნივერსიტეტის ბაზაზე დაიწყოს გარკვეული პილოტური პროგრამები, რომელიც შემდგომში შეიძლება დამოუკიდებელი სკოლის ან უნივერსიტეტის ფორმატში ჩამოყალიბდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ინიციატივა ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა. ჩვენ მუშაობას გავაგრძელებთ იმ დეტალებთან დაკავშირებით, რომელიც კონკრეტული პროგრამის ან სკოლის ჩამოყალიბებას უკავშირდება", - განუცხადა ჟურნალისტებს კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ დევიდ ლინჩთან და მასთან მყოფ დელეგაციასთან შეხვედრის შემდეგ.

FAMOUS AMERICAN FILM DIRECTOR DAVID LYNCH HAS ARRIVED IN GEORGIA WITH THE INITIATIVE TO ESTABLISH A FILM SCHOOL OR FILM ACADEMY NAMED IN HIS HONOR.

Famous American film director David Lynch has arrived in Georgia with the initiative to establish a film school or film academy named in his honor.

On this purpose David Lynch and the representatives of the David Lynch Foundation (DLF) Delegation met with the Minister of Culture Mikheil Giorgadze, Minister of Education. – Mikheil Chkhenkeli and the Chairperson of the Education, Science, and Culture Committee of the Parliament of Georgia, Mariam Jashi. "This is very important and interesting initiative from the point of sharing his knowledge and experience. I'm sure there will be quite big interest towards such a school or university. I spoke about the State Theatre and Film University which belongs to the System of the Ministry of Culture. We will continue working on the details, which relate to the establishment of a specific program or school". – Announced the Minister of Culture Mikheil Giorgadze to journalists after the meeting with David Lynch and his delegation.